

რეგისტრირებულია  
საქართველოს  
იუსტიციის სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
280.120.000.12.220.004.859

**საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო  
გეღამხედველობის სამსახურის უფროსის  
ბრძანება N 20  
2001 წლის 12 ივლისი ქ. თბილისი**

**საპენსიო სქემის მონაწილეთა, სამეთვალყურეო საბჭოსა  
და სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის  
ინფორმირების წესის დამტკიცების შესახებ**

”არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ”თ“) ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ”საპენსიო სქემის მონაწილეთა, სამეთვალყურეო საბჭოსა და სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმირების წესი“ (თან ერთვის).
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ა. ცერცვაძე*

**საპენსიო სქემის მონაწილეთა, სამეთვალყურეო საბჭოსა  
და სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო  
ფონდის ინფორმირების წესი**

**მუხლი 1**

”სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის ინფორმაციის მიწოდების წესი“ მომზადებულია ”არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ”თ“) ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს არასახელმწიფო საპენსიო სქემის მონაწილეთა, სამეთვალყურეო საბჭოსა და სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ ინფორმაციის მიწოდების წესს.

**მუხლი 2**

არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია წარუდგინოს არასახელმწიფო საპენსიო სქემის მონაწილეებს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) საპენსიო სქემის წესები;
- ბ) საპენსიო სქემაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები რეგისტრაციიდან

არა უგვიანეს 30 დღისა;

ვ) მონაცემები წლის ბოლოს ანგარიშზე დარიცხული და გაცემული პენსიებისა და საპენსიო დანაგროვის ფორმირების შესახებ;

დ) ყოველწლიური ანგარიშები, რომლებიც მოიცავს მონაწილის სასარგებლოდ მიღებულ შენაგანებს;

ე) ადმინისტრაციული ხარჯები;

ზ) წელიწადში ერთხელ მიაწოდოს მისი ინდივიდუალური ანგარიშის, საგადასახადო სისტემაში, აქტივები მმართველ კომპანიებსა და სპეციალურ დეპოზიტარებში მომხდარი ცვლილებებისა და დამფუძნებლის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების შესახებ.

### მუხლი 3

საპენსიო სქემებისათვის. სადაც განსაზღვრულია შენაგანების ოდენობა, დამფუძნებელი ვალდებულია მონაწილეებს მიაწოდოს ინფორმაცია შენაგანების ინვესტიციიდან შემოსავლებთან დაკავშირებით, გამოკლებული ხარჯებით (თუ ასეთი არსებობს).

### მული 4

საპენსიო სქემები, სადაც განსაზღვრულია გასაცემი პენსიის ოდენობა და დამფუძნებლის მიერ გათვალისწინებულია პენსიების გადახდა, რომელთა ოდენობა დამოკიდებული არ არის სახელობითი საპენსიო დანაგროვის ოდენობაზე, დამფუძნებელი ვალდებულია მონაწილეებს მიაწოდოს გადახდილი და გადასახდელი საპენსიო დანაგროვები, გამოკლებული ხარჯებით.

### მუხლი 5

დამფუძნებლის მიერ საპენსიო სქემის შეწყვეტისას დამფუძნებელი ვალდებულია ამ გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს ყველა მონაწილეს საპენსიო სქემის შეწყვეტამდე სულ ცოცხა ექვსი თვით ადრე.

### მუხლი 6

დამფუძნებლის პასუხისმგებლობა მონაწილესათვის ინფორმაციის მიწოდებლობის ან დაგვიანებით მიწოდებისათვის განისაზღვრება "არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

### მუხლი 7

არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია წარუდგინოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ საბუღალტრო აღრიცხვის გიპიურ ფორმებთან ერთად კვარტალში ერთხელ და წლის ბოლოს ანგარიში დადგენილი წესის შესაბამისად. წლიურ ანგარიშში უნდა აისახოს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ანგარიშებისა და ანგარიშგების წარმოების სისწორის იმ აქტივების შეფარდებითი ღირებულების შესახებ, სადაც განთავსებულია საპენსიო, მათ შორის, მუდმივი პენსიის გაცემის დანაგროვები.

ბ) ყოველკვარტალური ანგარიში საპენსიო სქემის ფინანსური მდგრადობის

შესახებ.

ვ) 15 დღის განმავლობაში შეაგყობინოს ყველა შემთხვევა, რომელმაც იმოქმედა ან შეუძლია იმოქმედოს მისი საპენსიო სქემის ფინანსურ მდგრადობაზე, რაც მის წინა კვარტალურ ანგარიშში არ იყო ასახული.

დ) შეანაბრეთა სია, რომლებიც არ იხდიან საპენსიო შენაგანებს და ამავე დროს არ ითვლებიან მონაწილეებად.

მუხლი 8

აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია წარუდგინოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წლიური ანგარიში.

მუხლი 9

დამფუძნებელი და აქტივების მმართველი კომპანია სოციალური უზრუნვეყოფით ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის ანგარიშის წარუდგენლობის ან დაგვიანებით წარდგენისათვის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.